პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 38-ე წელი № 260 (11264) | შაბათი, 11 ნოემბერი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

**საბჭოთა კავშირის მშრომელებმა მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად უდიდესი სიხარულითა და ზეიმით აღნიშნეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავი.**

**საქართველოს მშრომელებმა, ისე როგორც მთელმა საბჭოთა ხალხმა, ცხადყვეს სახელოვანი კომუნისტური პარტიის გარშემო მონოლითური დარაზმულობა, დიდი ოქტომბრის საქმისადმი ერთგულება, თავიანთი ურყევი გადაწყვეტილება— მოიპოვონ ახალი წარმატებები კომუნისტურ მშენებლობაში.**



მოსკოვი, 7 ნოემბერი, წითელი მოედანი. მავზოლეუმის ტრიბუნაზე არიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები, სტუმრები პოლონეთის სახალხო რესპუბლიკიდან და საბჭოთა შეიარაღებული ძალების უმაღლესი მხედართმთავრები.

ფოტო ფ. ლატიპოვასი და ნ. პეტროვისა.

# დიდი ოქტომბრის ძლევამოსილი დროშა

### სამხედრო პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია წითელ მოედანზე

დიდი ოქტომბრის ორმოცდამეერთე წლისთავი. იწყება კაცობრიობის ნათელი ეპოქის — სოციალისტური რევოლუციის ეპოქის — მეხუთე ათწლედი.

1958 წლის 7 ნოემბერია. დილიდანვე მოსკოვის მშრომელები იკრიბებიან თავიანთ საწარმოებთან და დაწესებულებებთან, რათა მონაწილეობა მიიღონ სადღესასწაულო დემონსტრაციაში.

როგორც ყოველთვის ასეთ დღეებში, ისტორიული მოედნის გაფორმება საზეიმოა. სახელმწიფო უნივერმაღის შენობა მორთულია წითელი ტილოებით და მწვანით. მის ცენტრში ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის უზარმაზარი პორტრეტი. ქვეშ აწერია სიტყვები: „წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!“. მაღალ თეთრ ანძებზე, რომლებიც დადგმულია მთელი მოედნის გაყოლებით, ფრიალებენ საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკების ალმები.

წითელ მოედანზე და მის ახლომახლო ქუჩებზე და მოედნებზე პარადისათვის ჩამწკრივებული არიან მოსკოვის გარნიზონის ჯარები, სასაზღვრო ჯარების, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ქვედანაყოფები, სუვოროველები და ნახიმოველები.

საათის ისრები მაცხოვრის კოშკზე ათს უახლოვდებიან. ივსება ტრიბუნები კრემლის კედლებთან. აქ არიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, რუსეთის სფსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, მინისტრები, ცენტრალურ დაწესებულებათა და უწყებათა ხელმძღვანელები, საბჭოთა პროფკავშირების წამყვანი მუშაკები, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრები, საბჭოთა კავშირის გმირები და სოციალისტური შრომის გმირები, ლენინური პრემიის ლაურეატები, მოსკოვის საწარმოთა მოწინავე ადამიანები, სოფლის მეურნეობის ნოვატორები, მეცნიერები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები.

ტრიბუნებზე არიან სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელთა წარმოგზავნილები, რომლებიც დღესასწაულზე ჩამოვიდნენ, სტუმრები მსოფლიოს სხვა ქვეყნებიდან.

ესწრებიან დიპლომატიური კორპუსის წევრები, აგრეთვე უცხო სახელმწიფოთა სამხედრო, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ატაშეები.

მოედანზე გაისმის ერთსულოვანი ტაში, როცა მავზოლეუმის ცენტრალურ ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები ა. ბ. არისტოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. გ. იგნატოვი, ა. ი. კირიჩენკო, ფ. რ. კოზლოვი, ო. ვ. კუუსინენი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ა. მუხიტდინოვი, მ. ა. სუსლოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. ს. ხრუშჩოვი, პ. ნ. პოსპელოვი, ა. ნ. კოსიგინი, დ. ს. პოლიანსკი. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებთან ერთად ტრიბუნაზე ადიან პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. გომულკა, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცირანკევიჩი, გაერთიანებული გლეხთა პარტიის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. იგნარი, დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. კულჩინსკი, რომლებიც სსრ კავშირში მეგობრობის ვიზიტით არიან.

მავზოლეუმის მარჯვენა ფრთაზე არიან საბჭოთა კავშირის მარშლები, ჯარების გვარეობათა მარშლები, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გენერლები და ადმირალები.

10 საათია. მაცხოვრის კოშკის კარიდან ღია ავტომობილით გამოდის პარადის მიმღები სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი რ. ი. მალინოვსკი. მას ხვდება პარადის სარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი კ. ს. მოსკალენკო და პატაკს აძლევს. მინისტრი ჩამოუვლის ჯარებს, მიესალმება პარადის მონაწილეებს და ულოცავს მათ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავს.

ჯარების ჩამოვლა დამთავრდა. მარშალი რ. ი. მალინოვსკი მავზოლეუმის ტრიბუნაზე ადის და სიტყვას ამბობს.

## საბჭოთა კავშირის მარშალ რ. ი. მალინოვსკის სიტყვა

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

საბჭოთა კავშირის მშრომელებო!

ჩვენო პატივცემულო უცხოელო სტუმრებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის სახელით და დავალებით მოგესალმებით და მოგილოცავთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავს!

დიდი ოქტომბრის სახელოვან წლისთავს საბჭოთა ადამიანები ხვდებიან ახალი მიღწევებით სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის განხორციელებული ღონისძიებანი მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნის შესახებ, სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისა და საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განმტკიცების შესახებ შესანიშნავ შედეგებს იძლევიან.

თვიდან თვემდე დიდდება სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა, შრომის ნაყოფიერება, მოქმედ საწარმოთა მწყობრში დგებიან ახალი ფაბრიკები, ქარხნები, ბრძმედები, შახტები. ჩვენი მრეწველობის ზრდის ტემპი კომუნიზმის გზით საბჭოთა საზოგადოების სვლის თვალსაჩინო და საგრძნობი ნაბიჯებია.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

## ბრძანებულება

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

მოწვეულ იქნას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია 1958 წლის 27 ნოემბერს ქ. თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
**მ. ჩუბინიძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
**ზ. გელდიაშვილი**

ქ. თბილისი, 1958 წლის 10 ნოემბერი.

# დარბაზობა კრემლის დიდ სასახლეში

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ 7 ნოემბერს კრემლის დიდ სასახლეში მოაწყო საზეიმო დარბაზობა ეროვნული დღესასწაულის — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეორმოცდაერთე წლისთავის გამო.

დარბაზობაზე იყვნენ ამხანაგები ა. ბ. არისტოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. გ. იგნატოვი, ა. ი. კირიჩენკო, ფ. რ. კოზლოვი, ო. ვ. კუუსინენი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ა. მუხიტდინოვი, მ. ა. სუსლოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. ს. ხრუშჩოვი, პ. ნ. პოსპელოვი, ა. ნ. კოსიგინი, დ. ს. პოლიანსკი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები მ. პ. ტარასოვი და კ. მ. ოზოლინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ი. ი. კუზმინი, ა. ფ. ზასიადკო, დ. ფ. უსტინოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე პ. პ. ლობანოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები ა. ა. ანდრეევი, ს. მ. ბუდიონი, ვ. ი. უსტინოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ა. კაიროვი, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, ცენტრალურ უწყებათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები, საბჭოთა კავშირის მარშლები, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის გენერლები და ადმირალები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და მთელი რიგი სამინისტროების პასუხისმგებელი თანამშრომლები, მეცნიერები, კულტურის მოღვაწეები, წარმოების ნოვატორები და მოსკოვის საწარმოთა და მშენებლობათა ხელმძღვანელები.

დამსწრეთა შორის იყვნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის თავმჯდომარე ამხანაგი ვლადისლავ გომულკა, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ალექსანდრე ზავადსკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი იუზეფ ცირანკევიჩი და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის სხვა წევრები, უცხოელი სტუმრები, რომლებიც დიდი ოქტომბრის რევოლუციის 41-ე წლისთავის დღესასწაულზე ჩამოვიდნენ, აგრეთვე დიპლომატიური კორპუსის წევრები, საელჩოების თანამშრომლები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

დამსწრეთ მისასალმებელი სიტყვით მიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

## ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო!

ჩვენო ძვირფასო უცხოელო სტუმრებო!

პატივცემულო ბატონებო!

ჩვენ აქ შევიკრიბეთ, რათა აღვნიშნოთ საბჭოთა კავშირის ეროვნული დღესასწაული—დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავი. ნება მიბოძეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მივესალმო ამ დარბაზში მყოფ საბჭოთა საზოგადოებრიობის ყველა წარმომადგენელსა და უცხოელ სტუმრებს, რომლებიც ოქტომბრის რევოლუციის 41-ე წლისთავის დღესასწაულზე ჩამოვიდნენ.

ჩვენ გულითადად მივესალმებით მოძმე პოლონელი ხალხის წარმოგზავნილებს — პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციას ამხანაგ გომულკას მეთაურობით, რომლებიც ჩვენთან ერთად მოსკოვში დღესასწაულობენ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავს.

საბჭოთა ხალხის ისტორიაში 7 ნოემბერი ყველაზე ნათელი და სასიხარულო დღესასწაულია. 41 წლის წინათ რუსეთის მუშათა კლასმა მშრომელ გლეხობასთან კავშირით კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ბელადისა და მასწავლებლის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მეთაურობით მოახდინა დიდი რევოლუცია — დამხობილ იქნა ბურჟუაზიის და მემამულეების ხელისუფლება და ჩვენს ქვეყანაში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, მუშათა და გლეხთა ხელისუფლება.

მსოფლიო ისტორიაში არ არის ისეთი მოვლენა, რომელსაც ესოდენ მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინოს ხალხთა ბედზე, როგორიც ოქტომბრის რევოლუციამ მოახდინა. იგი მოასწავებდა ექსპლოატატორული კაპიტალისტური წყობილებიდან ახალ, სოციალისტურ წყობილებაზე გადასვლას. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის იდეები აღაფრთოვანებენ მთელი დედამიწის მშრომელებს ბრძოლისათვის სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის.

ორმოცდაერთ წელიწადში ჩვენი ქვეყნის საბჭოთა ხელისუფლებამ დიდი და სახელოვანი გზა განვლო. კომუნისტური პარტიის გარშემო დარაზმულმა საბჭოთა ხალხმა ააშენა სოციალიზმი. უდიდესი წარმატებანი მოიპოვა ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, განახორციელა გრანდიოზული გარდაქმნები. წლითიწლობით უმჯობესდება მშრომელთა კეთილდღეობა.

საბჭოთა კავშირის წარმატება კარგად ცნობილია. მასზე დაწვრილებით ილაპარაკა გუშინ თავის მოხსენებაში ამხანაგმა მიქოიანმა.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის იდეების განხორციელებას წარმოადგენს სოციალისტური სახელმწიფოების ბანაკი, რომელიც იზრდება და მტკიცდება. დიადი მიზნისაკენ — კომუნიზმისაკენ ახლა ერთიანი ფრონტით მიდიან საბჭოთა კავშირი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, უნგრეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ალბანეთი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა. ჩვენი ქვეყნების თანამეგობრობა და ურთიერთდახმარება დღითიდღე იზრდება და მტკიცდება.

ახლა ჩვენს აშკარა ავისმდომლებს, რომლებსაც წინათ არა სწამდათ სოციალიზმის ძალა, დასცინოდნენ ჩვენს გეგმებს, უკვე არ ძალუძთ უარყონ საბჭოთა კავშირის, სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყნის გიგანტური წარმატებანი.

საბჭოთა კავშირისა და ყველა სოციალისტური ქვეყნის ეკონომიკის ზრდა, ჩვენი ხალხების ცხოვრების დონის ამაღლება დამაჯერებლად ადასტურებენ სოციალიზმის უპირატესობას კაპიტალიზმთან შედარებით. საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წარმატება აძლიერებს სოციალიზმის იდეების ზეგავლენას კაპიტალისტური, დამოკიდებული და კოლონიური ქვეყნების მშრომელებზე.

იმპერიალისტებს ეშინიათ საბჭოთა კავშირის, მსოფლიო სოციალისტური ბანაკის ძლიერების ზრდისა. დასავლეთის ბევრი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწის სიტყვებში, ბურჟუაზიულ პრესაში სულ უფრო ხშირად შეიძლება შევხვდეთ ისეთ აზრებს, რომლებშიც გამოსჭვივის აშკარა შიში იმის წინაშე, რომ საბჭოთა კავშირს აქვს უნარი გაუსწროს ეკონომიური მხრით ყველაზე დიდად განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს.

ჩვენ გამსჭვალული ვართ რწმენით, რომ შორს არ არის ის დრო, როცა საბჭოთა კავშირი პირველ ადგილზე გამოვა მსოფლიოში როგორც აბსოლუტური წარმოებით, ისე პროდუქციის წარმოებით ერთ სულ მოსახლეზე, რაც ჩვენი ხალხებისათვის უზრუნველყოფს ყველაზე მაღალ ცხოვრების დონეს მსოფლიოში.

ჩვენ ომი არ გვესაჭიროება. კომუნისტური საზოგადოების ასაშენებლად საჭიროა მშვიდობა. ჩვენი საგარეო პოლიტიკის გენერალური ხაზია მშვიდობიანი თანაარსებობის ხაზი, ყველა ხალხთა შორის მეგობრობის ურთიერთობის დამყარება. აი ამიტომ საბჭოთა მთავრობა მუდამ ისწრაფვის შემდგომ გააუმჯობესოს ურთიერთობა ყველა ქვეყანასთან, მტკიცედ იბრძვის მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებისათვის.

იმპერიალისტები ყოველნაირად ცდილობენ უკუღმა დაატრიალონ ისტორიის ჩარხი, ისწრაფვიან შეინარჩუნონ და გააფართოონ კაპიტალისტური ექსპლოატაციისა და კოლონიური ჩაგვრის სფერო, კვლავ დაასხდნენ კისერზე ხალხებს, რომლებმაც მოიპოვეს ეროვნული განთავისუფლება.

სწორედ ამიტომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის მმართველი წრეები საერთაშორისო ურთიერთობაში ახორციელებენ „ძალის პოზიციის“ პოლიტიკას, სასტიკად ეწინააღმდეგებიან ყოველგვარ საბჭოთა წინადადებას, რომლის მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება და მშვიდობის განმტკიცება.

მაგრამ ასეთი პოლიტიკა იწვევს ყველა ქვეყნის ხალხების, მათ შორის ამერიკელი ხალხის სულ უფრო მეტ უკმაყოფილებას. განა ამას არ მოწმობენ ახლახან ამერიკის შეერთებულ შტატებში სენატისა და წარმომადგენელთა პალატის არჩევნები? რა თქმა უნდა, არჩევნები ყოველი სახელმწიფოს, ყოველი ხალხის საშინაო საქმეა და არავის არ შეუძლია ჩაერიოს ასეთ საქმეებში. მაგრამ ამერიკელმა ამომრჩევლებმა უკვე თქვეს თავიანთი სიტყვა. ჩვენ გვახარებს ის, რომ ამერი-

(დასასრული მე-2 გვერდზე)

# დარბაზობა კრემლის დიდ სასახლეში

(დასასრული)

კის შეერთებული შტატების ხალხი გმობს პოლიტიკას „ომის ზღვარზე“, „ძალის პოზიციის“ პოლიტიკას, რომელსაც ახორციელებს სახელმწიფო მდივანი ბ-ნი დალესი და რომელსაც მხარს უჭერს პრეზიდენტი ბ-ნი ეიზენჰაუერი.

საბჭოთა კავშირის ხალხები დგანან მშვიდობისათვის ბრძოლის პოზიციებზე. საბჭოთა მთავრობა არასოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობაში მტკიცედ იცავს ცნობილ ხუთ პრინციპს: ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურთიერთ პატივისცემას, თავდაუსხმელობას, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობას, თანასწორობისა და ურთიერთსარგებლობას, მშვიდობიან თანაარსებობასა და ეკონომიურ თანამშრომლობას.

ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები ჯიუტად უარყოფენ საბჭოთა კავშირის ყველა მშვიდობისმოყვარულ ღონისძიებას, არა სურთ ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობა.

და თუმცა ჩვენ გვესმის, რომ რესპუბლიკური პარტიაც და დემოკრატიული პარტიაც მცირე რამით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან საგარეო პოლიტიკის განხორციელებისას, ჩვენ ამერიკის შეერთებულ შტატებში არჩევნების შედეგებს განვიხილავთ იმ თვალსაზრისით, რომ შესაძლოა გაუმჯობესდეს ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა.

იმედი გვაქვს, რომ არჩევნების შედეგები, რომლითაც გამოიხატა ამერიკის ამომრჩევლების უკმაყოფილება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ახლანდელი საგარეო პოლიტიკის გამო, გამოიწვევენ არსებით ცვლილებებს, ცივი ომის შეწყვეტას, „ომის ზღვარზე“ ბეცი პოლიტიკის შეწყვეტას.

დროა ყველამ ცნოს, რომ საბჭოთა კავშირი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, სოციალიზმის ყველა ქვეყანა რეალური სინამდვილეა. საჭიროა ცნოს ეს სინამდვილე და თავისი პოლიტიკა აშენოს სოციალისტური ქვეყნების არსებობისათვის ანგარიშის გაწევით.

ჩვენს დროში მშვიდობის ძალები გაიზარდნენ და განმტკიცდნენ. საერთაშორისო კონფლიქტებისა და სამხედრო პროვოკაციების ორგანიზატორებს უპირდაპირდება მშვიდობისმოყვარე სოციალისტურ სახელმწიფოთა, აგრეთვე სხვა დამოუკიდებელი ქვეყნების ფრონტი, რომლებიც დგანან მშვიდობის დაცვის პოზიციებზე. ყველა ხალხი ისწრაფვის შეინარჩუნოს მშვიდობა და იბრძვის მისთვის. მშვიდობის ძალებს, თუ ისინი ორგანიზებული და ფხიზელი იქნებიან, შესწევთ უნარი ალაგმონ იმპერიალისტური აგრესორები.

ამხანაგებო! ჩვენს დღესასწაულს აღვნიშნავთ ახალი მძლავრი აღმავლობის ვითარებაში, როცა მთელი საბჭოთა ხალხი ემზადება ღირსეულად შეხვდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობას, კომუნიზმის მშენებელთა ყრილობას. ეს ყრილობა დასახავს კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის ახალ პროგრამას, რათა უზრუნველყოს ეკონომიკის ყველა დარგის შემდგომი მძლავრი აღმავლობა და ამის საფუძველზე განახორციელოს ხალხის ცხოვრების დონის ახალი, მნიშვნელოვანი ამაღლება.

გაუმარჯოს ჩვენს დიდ სოციალისტურ სამშობლოს, რომელიც მტკიცედ მიდის წინ, კომუნიზმისაკენ!

გაუმარჯოს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდამეერთე წლისთავს, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა, რომლის დიადი იდეები აღაფრთოვანებენ მთელ პროგრესულ კაცობრიობას!

დიდება ჩვენს დიდ საბჭოთა ხალხს!

ნება მიბოძეთ წარმოვთქვა მთელი მსოფლიოს ხალხთა მტკიცე მშვიდობისა და მეგობრობის სადღეგრძელო!

ჩვენი პატივცემული სტუმრების სადღეგრძელო!

* * *

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა მოსმენილ იქნა დიდი ყურადღებით და არაერთგზის გამოიწვია მეგობრული ტაში.

დასასრულ დარბაზობის მონაწილეებისათვის გაიმართა კონცერტი ხელოვნების თვალსაჩინო ოსტატთა ძალებით. (საქდესი).

## სადღესასწაულო კონცერტი კრემლის თეატრში

8 ნოემბერს კრემლის თეატრში დიდი სადღესასწაულო კონცერტი გაიმართა. მრავალფეროვანი იყო მისი პროგრამა.

კონცერტი გაიხსნა ჩრდილოეთის სიმღერის სახელმწიფო რუსული ხალხური გუნდის გამოსვლით. მან შეასრულა ჩრდილოეთის სიმღერები და შაირები. ამ გუნდის შემდეგ გამოვიდნენ საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის მსახიობები.

მაყურებელნი გულთბილად შეხვდნენ კიევის შევჩენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტს ვ. ტიმოხინს, რომელმაც შეასრულა უკრაინული და რუსული სიმღერები, აგრეთვე სტავროპოლის კაზაკური ხალხური გუნდის შესანიშნავ ხელოვნებას.

კონცერტში დიდი წარმატება ჰქონდა სსრ კავშირის სახალხო არტისტს ი. ილინსკის, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატებს ვ. კლიმოვს, ა. სოლენკოვსა და სხვა მსახიობებს. (საქდესი).

## საქდესის განცხადება

1958 წლის 25 ოქტომბერს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა ცნობილი განცხადებების შესაბამისად კორეიდან უცხოეთის მთელი ჯარების გაყვანის შესახებ, დამთავრდა ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილების სრული ევაკუაცია კორეიდან. ეს ნაბიჯი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებაა, რომელიც ხელს უწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, სახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცებას და შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობის განმტკიცებას.

საქდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ საბჭოთა მთავრობა სავსებით იზიარებს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ამა წლის 28 ოქტომბრის განცხადებას, რომელშიც აღნიშნულია, რომ ჩინელ სახალხო მოხალისეთა ევაკუაციის შედეგად, რაც განხორციელდა მათი საკუთარი ინიციატივით, იქმნება ახალი ვითარება, რომელიც ხელს უწყობს კორეაში დაძაბულობის შენელებას და კორეის საკითხის მშვიდობიან გადაჭრას.

კორეაში, ისევე როგორც მთლიანად შორეულ აღმოსავლეთში, მშვიდობიანი ვითარების შემდგომი განმტკიცება ცოტათი როდია დამოკიდებული იმაზე, გაიყვანს თუ არა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა თავის ჯარებს სამხრეთ კორეიდან. თუ ამერიკის ჯარები დაუყოვნებლივ წავლენ სამხრეთ კორეიდან, შეიძლება ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ ამის შემდეგ კორეის ორივე ნაწილის კორეელები უფრო სწრაფად შეთანხმდებიან ერთმანეთს შორის მშვიდობისმოყვარულ და დემოკრატიულ საწყისებზე თავიანთი სამშობლოს გაერთიანების შესახებ.

მაგრამ ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას არა თუ არ გაუყვანია დღემდე თავისი ჯარები სამხრეთ კორეიდან, არამედ კიდევაც აძლიერებს მათ, კერძოდ, სამხრეთ კორეაში ატომური და რაკეტული იარაღის შეტანის გზით. ამერიკის შეერთებული შტატების მილიტარისტული წრეების მხარდაჭერით ლი სინ მანი, აშკარად იმ გარეშე ძალების წახალისებით, რომლებსაც იგი ემყარება თავისი ანტიხალხური, აგრესიული პოლიტიკის განხორციელებაში, კვლავ იმუქრება სამხედრო პროვოკაციებით კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

წინათ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ცდილობდა თავისი ჯარების ყოფნა კორეაში [illegible] დამოწმებით, თუმცა ცნობილია, რომ ამ მოხალისეთა გამოჩენა კორეაში გამოწვეული იყო ამერიკის აგრესიით კორეის მიმართ და ამასთან დაკავშირებით წარმოშობილი საფრთხით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უშიშროებისადმი. აღნიშნული დამოწმება, რომლის სიყალბე წინათაც ეცემოდა თვალში ყოველ ადამიანს, რომელიც ობიექტურად აფასებდა მდგომარეობას, ახლა სრულიად უაზროდ გაისმის.

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სამხრეთ კორეას არ ემუქრება საფრთხე კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მხრივაც. როგორც ცნობილია, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას არაერთხელ წამოუყენებია წინადადება მშვიდობიანი გზით კორეის საკითხის მოწესრიგების შესახებ; მან მნიშვნელოვნად შეამცირა თავისი შეიარაღებული ძალები და არაერთგზის შესთავაზა სამხრეთ კორეის მთავრობას დაედოთ ხელშეკრულება შეთანხმებულ ღონისძიებათა შესახებ, რომლებსაც მოჰყვებოდა მშვიდობის განმტკიცება კორეაში და კორეის საკითხის მოწესრიგება.

მაშასადამე, საქმე ის კი არ არის, რომ ვიღაც ემუქრება ამერიკის შეერთებული შტატების უშიშროებას, არამედ სრულიად სხვა რამ. საქმე ის არის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელი წრეები და ლი სინ მანი ცდილობენ შეინარჩუნონ სამხრეთი კორეა უცხოეთის სამხედრო პლაცდარმად. საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა ხალხებს არ შეუძლიათ სხვანაირად შეაფასონ უცხოელთა მიერ სამხრეთ კორეის ოკუპაცია, რომელიც გრძელდება, თუ არა როგორც ნაწილი ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელი წრეების საერთო აგრესიული გეგმისა შორეულ აღმოსავლეთში, რომლის გამოხატულებაა აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების აგრესია ტაივანის რაიონში და ამერიკის ჯარების ყოფნა და სამხედრო ბაზების არსებობა იაპონიის ტერიტორიაზე.

საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელ წრეებს მიაჩნიათ, რომ დადგა დრო, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ უნდა მიიღოს ჯეროვანი ღონისძიებანი კორეიდან ამერიკის ჯარების გასაყვანად, რომლებიც ამავე დროს ეფარებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალამს.

# დიდი ოქტომბრის ძლევამოსილი დროშა

## სამხედრო პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია წითელ მოედანზე

(დასასრული)

საბჭოთა ადამიანებს ახარებს ის ფაქტი, რომ მრეწველობის შემდეგ თვალსაჩინო წარმატება მოიპოვა სოფლის მეურნეობამაც. წელს ჩვენი ქვეყანა მიიღებს იმდენ პურს, რამდენიც თავისი არსებობის ჯერ არც ერთ წელს არ მიუღია.

კომუნისტური პარტიის დაუცხრომელი ზრუნვის მეოხებით წარმატებით ვითარდებიან საბჭოთა მეცნიერება და ტექნიკა. სახალხო მეურნეობის წარმატების საფუძველზე ჩვენს ქვეყანაში განუხრელად უმჯობესდება მშრომელთა კეთილდღეობა და მაღლდება კულტურული დონე.

საბჭოთა ხალხი დიდი აღფრთოვანებით შეხვდა გადაწყვეტილებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის მოწვევის შესახებ. საბჭოთა ადამიანები გამსჭვალული არიან მისწრაფებით განახორციელონ ეკონომიკის, ხალხის კულტურისა და კეთილდღეობის ახალი მძლავრი აღმავლობის საბრძოლო პროგრამა, ისტორიულად მოკლე ვადაში წარმატებით გადაჭრან ძირითადი ეკონომიური ამოცანა — დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოებაში.

ჩვენი ქვეყნის მშრომელთა უმაგალითო პოლიტიკური და შრომითი აქტივობა კომუნისტური პარტიის წინასწარდასახულებათა წარმატებით განხორციელების საწინდარია, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში დიდ გამარჯვებათა წყაროა.

საბჭოთა ხალხთან ერთად მტკიცე ნაბიჯით მიდიან წინ ნათელი მომავლის გზით სოციალისტური ქვეყნების ხალხები. მიზნის ერთიანობა, ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერების ზრდა, ძმური თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება, სოციალისტური ქვეყნების არმიების თანამეგობრობა სოციალიზმის მსოფლიო ბანაკს უძლეველს ხდიან.

საბჭოთა კავშირი მთელი კაცობრიობის ინტერესებისათვის თანმიმდევრულ და მტკიცე ბრძოლას ეწევა მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის.

მაგრამ სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ღონისძიებანი, რომელთა მიზანია მშვიდობის განმტკიცება, გააფთრებულ წინააღმდეგობას ხვდებიან ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და სხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მმართველი წრეების მხრივ. იმპერიალისტები წინანდებურადვე განაგრძობენ გამალებულ შეიარაღებას, აშკარად ერევიან დამოუკიდებელ სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში, საფრთხეს უქმნიან თავისუფლებისმოყვარე ხალხთა უშიშროებას.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, რომლებიც ხალხის ნებას გამოხატავენ, კვლავაც აქტიურად და თანმიმდევრულად იბრძოლებენ მთელი მსოფლიოს მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობის უზრუნველყოფისათვის. მაგრამ იმპერიალისტთა აშკარა სამხედრო ავანტიურებისა და პროვოკაციების პირობებში საბჭოთა კავშირი ყოველ ღონისძიებას იღებს ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცებისათვის, არმიის, ავიაციისა და ფლოტის პირველხარისხოვანი თანამედროვე ტექნიკითა და იარაღით აღჭურვისათვის, შეიარაღებული ძალების სიფხიზლისა და საბრძოლო მზადყოფნის გაუმჯობესებისათვის.

ჩვენი ხალხის, კომუნისტური პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვის მეოხებით საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს აქვთ ყოველივე, რაც საჭიროა, აგრესორებისათვის საპასუხო გამანადგურებელი დარტყმის მისაყენებლად, თუ ისინი გაბედავენ ახალი მსოფლიო ომის გაჩაღებას.

საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრები, რომლებიც უსაზღვროდ ერთგული არიან ხალხისა და მშობლიური კომუნისტური პარტიისა, მუდამ მზად არიან შეასრულონ თავიანთი ვალი სამშობლოს წინაშე და ღირსეულად დაიცვან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარნი.

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავს!

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ სამშობლოს — მთელი მსოფლიოს მშვიდობის ბურჯს!

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხსა და მის მამაც შეიარაღებულ ძალებს!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

ვაშა!

* * *

მოედანზე ფართოდ გაისმის მძლავრი ვაშა! გრიალებენ საარტილერიო სალუტის ზალპები. ჟღერს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი.

იწყება ჯარის ნაწილების საზეიმო სვლა. ათასხმიანი ორკესტრი მარშს ასრულებს. მისდევენ რა დამკვიდრებულ ტრადიციას, პირველები მოდიან მეთაურთა მაღალკვალიფიციური კადრების უძველესი სამჭედლოს — მ. ვ. ფრუნზეს სახელობის წითელდროშოვანი, ლენინის ორდენოსანი და სუვოროვის ორდენოსანი აკადემიის მსმენელები.

მოდიან ორდენოსანი აკადემიების — ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის საარტილერიო საინჟინრო, ი. ბ. სტალინის სახელობის ჯავშანსატანკო ჯარების, ვ. ვ. კუიბიშევის სახელობის სამხედრო-საინჟინრო, ნ. ე. ჟუკოვსკის სახელობის სამხედრო-საჰაერო, სამხედრო-საჰაერო საინჟინრო აკადემიის მსმენელები.

შავი ფარაჯები, თეთრი ხელთათმანები. აფრიალებული თეთრი ალამი ცისფერი არშიით: მოდიან სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის წარმომადგენლები — ა. ს. პოპოვის სახელობის კავშირგაბმულობის უმაღლესი სამხედრო-საზღვაო სასწავლებლის კურსანტები.

ტაშით ხვდებიან მოსკოვის რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს სახელობის წითელდროშოვანი უმაღლესი საერთოსაჯარისო მეთაურთა სასწავლებლის კოლონას.

მოედანი დაცარიელდა. მაგრამ მაშინვე ისტორიული მუზეუმის შენობის უკან გაისმის გუგუნი და გამოდიან ჯავშანტრანსპორტიორები ტამანის მ. ი. კალინინის სახელობის გვარდიის მექანიზებული დივიზიის მეომრებიანად.

„კატიუშები!“ მათ მოედანზე ერთბაშად ცნობენ. რეაქტიული ნაღმსატყორცნების მრისხანე ზალპები პირველად გაისმა მკაცრ 1941 წელს. ახლა განუზომლად გადიდდა მათი საცეცხლე ძლიერება, სროლის სიზუსტე და სიშორე, მოხვედრის მოედანი.

ტრიბუნების წინ მოდიან იმ გვარდიის ნაწილის მანქანები, რომელმაც დიდი სამამულო ომის წლებში ბრძოლებით გაიარა სამნახევარი ათასი კილომეტრი. მის საბრძოლო გუნდებს იერიში მიჰქონდათ ბერლინზე.

ჩვენს მოწინავე ინდუსტრიულ სახელმწიფოს შეუძლია განახორციელოს უაღრესად რთული ტექნიკური ამოცანა. ამის თვალსაჩინო ილუსტრაციაა პირველხარისხოვანი შეიარაღება, რომელიც დღესასწაულის დღეს ნაჩვენები იყო წითელ მოედანზე.

პარადი დამთავრდა. მან ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს, რომლებისთვისაც ყოველდღიურად ზრუნავს კომუნისტური პარტია, ჰყავს საუცხოო კადრები და აქვს თანამედროვე საბრძოლო ტექნიკა. საბჭოთა ხალხს შეუძლია ჰქონდეს ბრძოლებში გამოწრთობილი თავისი არმიის იმედი, იგი შეძლებს დაიცვას სოციალისტური სამშობლოს ღირსება და დამოუკიდებლობა.

* * *

ისტორიულ მუზეუმთან, წითელი მოედნის მისადგომებზე უთვალავი წითელი დროშაა. მთელი მოსკოვიდან აქ შეიკრიბნენ დემონსტრანტები. ნოემბრის გრილი ქარი არხევს ალმებს. შორს მოჩანს ახალგაზრდა ხელებით აღმართული აბრეშუმის ალამი: „წინ კომუნიზმისაკენ!“ იწყება ფიზკულტურელთა სვლა.

თითქოს ჰაერი ნათლდება ფანფარების ვერცხლისებრი ხმით, როცა მოედანზე გაიქროლებენ მოტოციკლისტები. მსუბუქი ნაბიჯით მოდის ნებაყოფლობით სასპორტო საზოგადოებათა სპორტსმენების კოლონა. ტრიბუნებზე გაისმის ტაში, როცა გამოჩნდებიან სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყნის ალმებით ფიზკულტურელთა ჯგუფები.

მოდიან ავიამოდელისტები, პლანერისტები, პარაშუტისტები. მათი ოცნება ისწრაფვის წინ წარმტაცი საპლანეტთაშორისო მოგზაურობისაკენ. მავზოლეუმს რომ გაუსწორდებიან, ისინი ხელებს აღმართავენ და ცაში აფრინდებიან სხვადასხვა ფერის ვარსკვლავები, კომეტები, ბურთობები, პლანეტების გამოსახულებანი, მაღლა აიჭრება რაკეტა.

აი ახალი საუცხოო სურათი. მავზოლეუმს უახლოვდება ბავშვთა ჯგუფი ყვავილებით. ისინი კიბეზე აირბენენ და ერთი წუთის შემდეგ ტრიბუნაზე ადიან. მათ ალერსით ხვდებიან, საერთო ტაშის გრიალში ნორჩი მოსკოველები ცოცხალი ყვავილების თაიგულებს უძღვნიან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს, სტუმრებს.

ზეიმით, მუსიკის ჰანგებში მოაქვთ დედაქალაქის წარჩინებულ ადამიანებს მოსკოვის დროშა, რომელსაც ლენინის ორდენი აგვირგვინებს. მოედანზე შემოდის დემონსტრაციის პირველი კოლონა. მოდის მშრომელი მოსკოვი — მეცნიერებისა და ტექნიკის, მრეწველობისა და კულტურის დედაქალაქი.

ასობით წითელ ქსოვილებს აწერია: „ორმოცდამეერთე ოქტომბერი!“ — ახალი მიჯნა საბჭოთა ქვეყნის ხალხთა ბრძოლისა და გამარჯვების გზაზე, რომელთაც ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია. მოედანზე გაისმის: „ჩვენს პარტიას დიდება, დიდება, დიდება!“, რასაც მრავალჯერ იმეორებენ.

ოქტომბრის რევოლუციის სიდიადითა და პათოსით არის გამსჭვალული კრასნაია პრესნიას რაიონის მშრომელთა კოლონის მთელი გაფორმება. შორიდან მოჩანს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის პორტრეტი. ნაცნობი ჟესტით, წინ გაწვდილი ხელით იგი ჩვენი ქვეყნის მუშებსა და გლეხებს მოუწოდებს განუხრელად იარონ წინ, კომუნიზმისაკენ. კოლონების თავზე მოჩანს მეცნიერული კომუნიზმის შემოქმედთა მარქსისა და ენგელსის პორტრეტები. დემონსტრანტებს მოაქვთ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები.

მთელი მოსკოვი, მთელი ჩვენი ქვეყანა ემზადება შრომითი გმირობით შეხვდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობას. ამას მეტყველებს ასობით პლაკატი, რომლებიც წითელ მოედანზე მოაქვთ. აი ლენინის რაიონის კოლონის თავში მოდიან კრასნოპროლეტარელები. მათ უკვე არა ერთი სიმაღლე აუღიათ ტექნიკური პროგრესის გზაზე. ახლა „კრასნი პროლეტარის“ კოლექტივმა ათი თვის გეგმის გადაჭარბებით დაამზადა ასობით ჩარხი. ამ ქარხანას ასი წლის ისტორია აქვს. ხოლო მისი უმცროსი ძმა — ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა — ოცდაექვსი წლისაა. მაგრამ ისინი გაკეთებულის მასშტაბით ას წელს უსწორდებიან.

ტრიბუნებიდან კარგად მოჩანს ერთ-ერთ პანოზე გამოსახული დედამიწა და მის ქვეშ გადაშლილი წიგნი. ეს არის მსოფლიოში ყველაზე ჰუმანური მეცნიერების ემბლემა. მოდის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია — მეცნიერები, რომლებმაც მთელ მსოფლიოში გაუთქვეს სახელი საბჭოთა ადამიანის შემოქმედებით გენიას. ხან აქ, ხან იქ დემონსტრანტთა რიგებში მოჩანს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების დიდი და პატარა მაკეტები.

„დიდება საბჭოთა მეცნიერებს!“ — გაისმის მოედანზე. ადამიანებმა იციან, რომ ხელოვნური თანამგზავრები შემთხვევითი წარმატების ნაყოფი როდია. ისინი მოწმობენ მთელი ჩვენი მეცნიერების სიმწიფესა და აყვავებას. დემონსტრანტთა რიგებში არიან ლებედევის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის, ატომური ენერგიის ინსტიტუტის კოლექტივები, სადაც აკადემიკოს ი. ვ. კურჩატოვის იდეით აგებულია შესანიშნავი დანადგარი „ოგრა“ — დიდმნიშვნელოვანი მიჯნა თერმოატომგულის რეაქციის დაუფლების გზაზე.

თითქოს ადამიანთა ტალღებს აპობსო, ამაყად აღმართულა კოლონების თავზე მსოფლიოში პირველი ატომური ყინულმჭრელის „ლენინის“ მაკეტი. ეს არის კიდევ ერთი დიდი გამარჯვება ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების გზაზე. და თუ მასში წითელ მოედანზე შეიძლებოდა დაგვენახა ერთი საბჭოთა ატომური ელექტროსადგურის გამოსახულება, დღეს მას შეუერთდა მეორე — 100 ათასი კილოვატი სიმძლავრის ატომური ელექტროსადგური.

ჟდანოვის რაიონის კოლონის თავზე ძნელია არ შეამჩნიო ხელოვნურად გაკეთებული გიგანტური ქიმიური კოლბა. იმაში თითქოს წარმოიქმნება სინთეზური მასალების წარმოშობის რთული პროცესი. აქ იბადება ქსოვილი ფეხსაცმელი, ტანსაცმელი, ყველაფერი ის, რისი მიცემაც ხალხისათვის შეუძლია ქიმიას.

ცისარტყელა — ზაფხულისებრ ელვარებს, სპექტრის ყველა ფერით მოლაპლაპე — გაიშალა ასობით მეტრზე. წითელ მოედანზე შემოვიდნენ ტრიოხგორნაია მანუფაქტურის ფეიქრები. და აი ტრიოხგორნელების შრომითი გამარჯვების პატაკიც: ათი თვის დავალების გადაჭარბებით გამომუშავებულია 2.250 ათასი მეტრი მზა ქსოვილი.

მუსიკითა და სიმღერით მოდიან წითელ მოედანზე დედაქალაქის კუიბიშევის, ლენინგრადის, კიროვის, სვერდლოვის, ფრუნზეს რაიონების კოლონები. ხან აქ, ხან იქ ცაში აფრინდებიან მტრედების გუნდები და სხვადასხვა ფერის ბურთობები. დემონსტრანტთა რიგებში მოჩანან ახალმოსახლეთა კოლონები. ისინი ჯერ არასოდეს ასეთი ბევრნი არა ყოფილან. ფერადი დიაგრამები გვიამბობენ, რომ ორ წელიწადს ჩვენს ქვეყანაში აშენდა 88 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

სულ უფრო მკაფიოდ, სრულად, სასიხარულოდ იშლება სადღესასწაულო სვლა.

რეპროდუქტორები ავრცელებენ მოწოდებას:

— გაუმარჯოს მძლავრ სოციალისტურ ბანაკს — ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ურყევ ბურჯს! დაე განმტკიცდეს და აყვავდეს სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ხალხთა დიადი თანამშრომლობა!

და თითქოს ამ სიტყვებს უპასუხებსო, მიკროფონიდან მოისმის პეკინის შორეული და ახლობელი ხმა. ლაპარაკობს პეკინი — მრავალმილიონიანი ჩინეთის დედაქალაქი — სადაც ჩვენი მეგობარი და ძმა დიდი ჩინელი ხალხი აგრეთვე აღნიშნავს ამ დღეს ოქტომბრის რევოლუციის ორმოცდამეერთე წლისთავს, რომელმაც ახალი ერა დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში.

არ არის დემონსტრანტთა არც ერთი კოლონა, რომელზეც აღმართული არ იყოს პლაკატი მოწოდებით მშვიდობისაკენ. ისინი გარს არტყია დედამიწის უზარმაზარ ფერად მაკეტებს, ისინი ლაპლაპებენ განათებულ კონსტრუქციაზე „ატომი — მშვიდობას“.

ინგრევა იმპერიალიზმის კოლონიური მანქანა. სინათლისა და თავისუფლებისათვის იბრძვიან აზიისა და აფრიკის ხალხები. პროლეტარსკის რაიონის რიგების თავზე უზარმაზარ პლაკატზე გამოსახულია არაბი მუშა, რომელიც ძლიერი მოძრაობით ამსხვრევს კოლონიალიზმის ბორკილს.

ორ საათს გაგრძელდა სადღე- [illegible] (საქდესი).

## პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია სტუმრად მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტებთან

6 ნოემბერს დილით, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავის წინ, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის წევრები გაემგზავრნენ ლენინის გორაზე. აქ მათ შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი განათლების მინისტრი ვ. პ. ელიუტინი, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი აკადემიკოსი ი. გ. პეტროვსკი, პროფესორები, მასწავლებლები, სტუდენტები.

პოლონეთის დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს დედამიწისმცოდნეობის მუზეუმი, გაეცნენ ფაკულტეტებს, ბიბ- [illegible] შვილი და ჭაბუკი შეიკრიბა სააქტო დარბაზში.

პოლონეთის დელეგაციასთან შეხვედრისადმი მიძღვნილი მიტინგი გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა აკადემიკოსმა ი. გ. პეტროვსკიმ.

მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებისა და მასწავლებლების სახელით გამოვიდა გეოლოგიის ფაკულტეტის პროფესორი ა. ა. ბოგდანოვი. შემდეგ სტუმრებს მიესალმა [illegible] ტორიის ფაკულტეტის ასპირანტი [illegible] ზენუშკინა.

მიტინგის მონაწილეები მქუხარე [illegible]



მოსკოვი. 1958 წლის 7 ნოემბერი. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავის დღესასწაული. მოსკოვის გარნიზონის ჯარების პარადი. სურათზე: მძიმე არტილერია წითელ მოედანზე.

ფოტო ვ. სავოსტიანოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისი, 1958 წ. 7 ნოემბერი. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავის დღესასწაული. ტ რ ი ბ უ ნ ა ზ ე (მარცხნიდან მარჯვნივ): ამხანაგები გ. ი. ჩოგოვაძე, ე. ა. შევარდნაძე, მ. მ. ლელაშვილი, ი. გ. როთელიაშვილი, მ. ი. კუჭავა, გ. ა. გეგეშიძე, ი. ხ. დოლიძე, გ. დ. ჯავახიშვილი, ვ. პ. მჟავანაძე, პ. ვ. კოვანოვი, კ. ნ. გალიცკი, გ. ი. ქადაგიძე, ფ. დ. დუმბაძე, ა. ნ. ინაური.

ფოტო ვ. გინზბურგის, მ. კვირიკაშვილის და გ. ვახტანგაძისა.

# ოქტომბერი, შრომა, მშვიდობა...

## პარადი და დემონსტრაცია თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე

აი მოვიდა სასიხარულო, ამაღელვებელი დღესასწაული.. საზეიმოდ და აღფრთოვანებით შეეგება 7 ნოემბრის დილას საბჭოთა საქართველოს დედაქალაქი — თბილისი. შემოდგომის ამ ცივ და ჟინჟღლიან დღეს ჭაღარა, მაგრამ მარად ჭაბუკი დედაქალაქის ქუჩებს თითქოს კვლავ დაუბრუნდა ყვავილოვანი და სიცოცხლით სავსე თბილისური გაზაფხული. სიხარულის ეს გაზაფხული დიადმა ოქტომბერმა შემოიტანა. ზეიმობდა ათას ხუთასი წლის ქალაქი, რომელმაც თავისი სახელოვანი იუბილეთი სულ ცოტა ხნის წინათ გაგვახარა. ზეიმობდა და ამაყად აფრიალებდა ოქტომბრის დროშებს...

დიადი ოქტომბერი!.. ორი სიტყვაა, მაგრამ რა დიდი შინაარსია შიგ ჩაქსოვილი. ოქტომბერი ახალი სამყაროს დაბადების თვეა.

...დიდებულად გამოიყურება რუსთაველის პროსპექტი. მთავრობის სახლზე ფრიალებს რესპუბლიკის დროშა. შენობის ფასადი დამშვენებულია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა პორტრეტებით, კორპუსის გაყოლებით გამწკრივებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრთა სურათები.

პროსპექტზე ჩამწკრივდნენ პარადის მონაწილე თბილისის გარნიზონის ჯარები.

საათის ისარი ათს უახლოვდება. დგება პარადის დაწყების დრო. ცენტრალურ ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები: ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, პ. ვ. კოვანოვი, გ. ი. ქადაგიძე, ი. ხ. დოლიძე, ფ. დ. დუმბაძე, მ. ი. კუჭავა, მ. მ. ლელაშვილი, ა. ნ. ინაური, გ. ა. გეგეშიძე, გ. ი. ჩოგოვაძე, ი. გ. როთელიაშვილი, ე. ა. შევარდნაძე.

სრულ ათ საათზე ლენინის მოედნის მხრიდან ღია მანქანით შემოდის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი არმიის გენერალი კ. ნ. გალიცკი. იგი იღებს პარადის სარდლის გენერალ-მაიორ ვ. დ. ხუბულურის პატაკს. არმიის გენერალმა ჩამოუარა პროსპექტზე განლაგებულ ჯარებს და მიულოცა მათ დიდი ოქტომბრის ბრწყინვალე დღესასწაული. პასუხად გრგვინავს მძლავრი მხედრული „ვაშა".

ჯარების ჩამოვლის დამთავრების შემდეგ კ. ნ. გალიცკი ადის მთავრობის ტრიბუნაზე და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელით და დავალებით ამბობს სიტყვას.

ორატორი აღნიშნავს, რომ დიდი ოქტომბრის დღესასწაულს საბჭოთა ხალხი შეხვდა ახალი მიღწევებით სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში. იგი ლაპარაკობს საბჭოთა საქართველოს მშრომელთა წარმატებებზე, რომლებიც მოპოვებულია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხისა და სსრ კავშირის სხვა ხალხთა ძმური და უანგარო დახმარებით.

ამხ. გალიცკი ხაზს უსვამს საბჭოთა ხალხის თანმიმდევრულ ბრძოლას მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის.

— ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მეომრები, — ამბობს იგი, — ყოველდღიურად იმაღლებენ საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებას, მტკიცედ ეუფლებიან იარაღსა და ტექნიკას, განამტკიცებენ დისციპლინასა და ორგანიზებულობას, აძლიერებენ რევოლუციურ სიფხიზლესა და საბრძოლო მზადყოფნას.

დასასრულ ამხ. გალიცკი დღეგრძელობას უსურვებს ჩვენს მძლავრ სამშობლოს, გმირ საბჭოთა ხალხს და მის მამაც შეიარაღებულ ძალებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას.

საზეიმოდ ჟღერს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები. გრძელ პროსპექტს ტალღასავით გადაუარა მძლავრმა მეომრულმა „ვაშამ" და საარტილერიო სალუტის გრგვინვამ.

იწყება თბილისის გარნიზონის ჯარების პარადი.

მტკიცედ მოაბიჯებენ მამაცი საბჭოთა მეომრები, რომელთა შორის ცოტა როდია დიდი სამამულო ომის სახელოვანი გმირი. მათ მკერდს უმშვენებს საბრძოლო ჯილდოები — მეომრული სახელისა და დიდების სიმბოლოები.

* * *

მიწყდა სამხედრო მარშების ხმები. პროსპექტი ტრიბუნის წინ წუთით დაცარიელდა. შორს გამოჩნდნენ მშრომელთა დემონსტრაციის მონაწილენი. მშრომელთა კოლონებს ცოცხალი ყვავილებით ხელში წინ უძღვიან მოსწავლეები — ჩვენი ქვეყნის ყვავილები — სულით მხნე, ნებისყოფით ძლიერი, გამოწრთობილი, ენერგიული და სიცოცხლით სავსე ბედნიერი ახალგაზრდობა. სულ რამდენიმე დღის წინათ მთელმა ჩვენმა ქვეყანამ აღნიშნა კომკავშირის 40 წლისთავი. მშობლიურმა პარტიამ ახალგაზრდობას ფრთები შეასხა დიადი მიზნებისათვის.

როგორც ყოველთვის, ახლაც მშრომელთა კოლონების თავში არიან ლენინის რაიონის მშრომელები. მათ მოაქვთ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის გენიალური ლენინის პორტრეტი. „სკკპ XXI ყრილობას და საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობას შევხვდეთ ახალი შრომითი გამარჯვებებით!" — დაწერილია ტრანსპარანტზე, რომელიც ხელთ უპყრიათ დედაქალაქის უძველესი საწარმოს — სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს. თბილისის ამ უძველესმა ქარხანამ საერთო პროდუქციის გამოშვების 10 თვის გეგმა 110 პროცენტით შეასრულა.

მოდიან სახელოვანი ჩარხმშენებლები — კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის მუშამოსამსახურეები. კიროველები თბილისში წინასაყრილობო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის ინიციატორებად გამოვიდნენ. ტრანსპარანტებზე წარწერილი ციფრები მოწმობენ, რომ ჩარხმშენებლები თავიანთი სიტყვის პატრონები არიან. ტრიბუნებზე და მათს ახლოს გაისმა ტაში, როცა ჩაიარეს სახელოვანმა ელმავალმშენებლებმა.

პროსპექტზე მკვიდრდება სიცოცხლე — მოდიან ფიზკულტურელები და სპორტსმენები, რომლებსაც მაღლა ამაყად აუწევიათ სპორტული დროშები. ახალგაზრდა მუშათა და მოსამსახურეთა სიცოცხლით სავსე სახეებზე აღბეჭდილია სიმხნევე, ძალა, სილამაზე...

— დიდება კომუნისტურ პარტიას!

— დიდება საბჭოთა ხალხს!

ეს სიტყვები ხშირად გაისმოდა მშრომელთა კოლონებში. ადამიანებს მოჰქონდათ ისტორიულ გამარჯვებათა დიდებით შემოსილი ოქტომბრის დროშები. სიმღერით, მუსიკით, სიხარულით, მომავალ შემართებათა რწმენით აღსავსე გამოდიოდნენ პროსპექტზე დედაქალაქის რაიონების მშრომელები. ხალხის ზღვის თავზე მოჩანდა მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები.

სამშობლოს ახალ წარმატებებს უპატაკებენ რკინიგზელები, რომლებიც გამარჯვებული გამოვიდნენ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, მშენებლები და ავტომშენებლები, ფეიქრები და მანქანათმშენებლები...

მრავალფეროვანი და მიმზიდველია კოლონათა გაფორმება. სტალინის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლებს მოჰქონდათ პლაკატები და პანოები, რომლებიც ასახავდნენ თბილისის 1500 წლისთავის ამასწინანდელ ზეიმს.

ყველგან იგრძნობა დიადი, ნათელი დღესასწაული. იგი იგრძნობა არა მარტო იმ ბავშვის ღიმილში, რომელსაც დემონსტრანტთა კოლონების თავზე მაღლა აღუმართავს წარწერა „მშვიდობა". იგი იგრძნობა თამბაქოს ფაბრიკის მუშათა ცეკვა-თამაშში, მათ სტიქიურად რომ გამართეს ტრიბუნის წინ, თბილისელ სტუდენტთა — ყამირი მიწების მოსავლის აღების აქტიურ მონაწილეთა საზეიმო სიმღერებში; იგრძნობა ელბაქიძის დაღმართზე დაბადებულ ახალ ქუჩაშიც, რომლითაც დღეს პირველად მიემართება დემონსტრაცია, ახალ სახლში, რომელიც თბილისელმა მშენებლებმა ააგეს.. ჩემია ქუჩა, ჩემია სახლები... ძალაუნებურად იმეორებთ მაიაკოვსკის სტრიქონებს და ერთხელ კიდევ რწმუნდებით, რომ საბჭოთა ადამიანი ჩვენი დიადი ცხოვრების ბატონპატრონია.

შემოდგომის ნაზი ყვავილები, ოქტომბრის პატარა ბაირაღები, წითელი საჰაერო ბურთები, ათასობით მაკეტი და პანო.. ესენი მოაქვთ ოქტომბრის რაიონის მშრომელებს, იმ რაიონისა, რომელიც ამაყად ატარებს დიდი ოქტომბრის სახელს. ყურადღება მიიპყრო გლობუსის თავზე აღმართულმა სამივე საბჭოთა თანამგზავრის მაკეტებმა. ტრიბუნის წინ კალინინის რაიონის მშრომელთა კოლონებში ჩაიარეს სახელოვანმა საბჭოთა მეცნიერებმა, რომლებსაც დიდი წვლილი შეაქვთ საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში.

მრავალრიცხოვან პლაკატებსა და ტრანსპარანტებზე, რომლებიც ორჯონიკიძის, კიროვის, 26 კომისრის რაიონების მუშებსა და მოსამსახურეებს მოჰქონდათ, აღბეჭდილი იყო სიტყვა „მშვიდობა".

დემონსტრაციამ ახალი ძალით გვიჩვენა პარტიისა და ხალხის მონოლითური ერთიანობა, საქართველოს მშრომელთა მჭიდრო დარაზმულობა მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

**ხტ. არღუნელი,**
**ვლ. თორდუა.**



სურათზე: მშრომელთა დემონსტრაცია თბილისში.



ფოტო ვ. ზარიძის, ვ. სტოლიაროვის და გ. ქაჯაიას (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# ზეიმობს საქართველო...

მშრომელთა დემონსტრაციები წყალუხვი მდინარეებივით აზვირთდა შვიდ ნოემბერს ჩვენი ვრცელი სამშობლოს ქალაქების მოედნებსა და ქუჩებზე. მთელმა ჩვენმა ქვეყანამ იდღესასწაულა ახალი მსოფლიოს დაბადების დღე — დიადი ოქტომბრის 41-ე წლისთავი. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, რომლებიც დიდი პოლიტიკური აღმავლობით ემზადებიან სკკპ XXI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობისათვის, თავიანთი სიხარულის ნაკადს უერთებდნენ ზეიმის დიდ ზღვას. ოქტომბრის საყოველთაო დღესასწაული, შრომისა და მშვიდობის დღესასწაული ამაყად მიაბიჯებდა თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის, სტალინირის, ჭიათურის, რუსთავის, გორის თუ სხვა ქალაქების ქუჩებზე.

დღეს „კომუნისტი" აქვეყნებს კორესპონდენტთა მასალებს იმის შესახებ, თუ როგორ ჩაიარა ოქტომბრის დღესასწაულმა საქართველოს ქალაქებში.

## სოხუმი

მზიური აფხაზეთის თვალწარმტაცი დედაქალაქი სოხუმი უფრო ლამაზი და მომხიბლავი იყო 7 ნოემბერს. ქუჩებში, შენობათა ფასადებზე მოჩანდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები, ალისფერი დროშები, ლოზუნგები.

ოქტომბრის დღესასწაულს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები სასახელო შრომითი მიღწევებით შეხვდნენ. ქალაქის მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვების ათი თვის გეგმა ვადაზე ადრე — 17 ოქტომბრისათვის შეასრულა. საყოველთაო ზეიმისათვის გამოშვებულია 15 მილიონზე მეტი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

მშრომელთა ხალხმრავალ დემონსტრაციაზე სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებს წინ მიუძღოდა სოხუმის ი. ბ. სტალინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის კოლექტივი. ვალდებულება, რომლითაც მას გეგმის გადამეტებით 40 მილიონი ცალი პაპიროსი უნდა გამოეშვა, დიდი ხანია შესრულდა, ხოლო სადღესასწაულოდ სამშობლოს ახალი გამარჯვება უპატაკა — გეგმის გადამეტებით 70 მილიონი ცალი პაპიროსი გამოუშვა.

ლამაზად გაფორმებული ტრიბუნის წინ ჩაიარეს პურის № 2 ქარხნის, ს. ორჯონიკიძის სახელობის ტყავფეხსაცმლის კომბინატის, ლიმონათის, ლუდის, საკონსერვო, ღვინო-არყის ქარხნების, ხორცისა და თევზის კომბინატების, რკინიგზისა და საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკთა კოლონებმა, რომლებსაც მოჰქონდათ თავიანთი საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის ნიმუშები.

დემონსტრაციის დამთავრების შემდეგ ქალაქის ბაღებსა და პარკებში, სოხუმის მთაზე მოეწყო მშრომელთა სადღესასწაულო სეირნობა. (საქ. კორ.).

## ბათუმი

7 ნოემბერს ჩვეულებრივზე ადრე გაიღვიძა სადღესასწაულოდ მორთულმა ქალაქმა. მშრომელთა ხალხმრავალი კოლონები დილიდანვე დაიძრნენ ლენინის სახელობის მოედნისაკენ.

დემონსტრაცია გახსნა ბათუმის მოსწავლე ახალგაზრდობამ. ლამაზად, მწყობრი რიგებით ჩაიარეს მოედანზე მომავალმა მეზღვაურებმა — ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებლის კურსანტებმა.

ქალაქის საწარმოთა კოლექტივებიდან მოედანზე პირველნი შემოვიდნენ სტალინის სახელობის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები.

ტრიბუნას ჩაუარეს სახელოვანმა ბათუმელმა რკინიგზელებმა — ხატვირთო სადგურის, საორთქლმავლო და სავაგონო დეპოების, სამგზავრო სადგურის, სალიანდაგო დისტანციის მუშა-მოსამსახურეთა მოზეიმე კოლონებმა. გაიარეს გემთმშენებლებმა, მანქანათმშენებლებმა, მშენებლებმა, მეფეხსაცმელეებმა. მათ მოაქვთ ლამაზად გაფორმებული სტენდები, დიაგრამები, პლაკატები, პანოები, რომლებიც მეტყველებენ ამ საწარმოთა მიერ წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებულ წარმატებებზე.

გვიან ღამემდე გრძელდებოდა მშრომელთა სადღესასწაულო ზეიმი.

(საქ. კორ.).

## სტალინირი

სამხრეთ ოსეთის საოლქო ცენტრმა სტალინირმა დღესასწაულის წინადღესვე მიიღო საზეიმო ელფერი. ქუჩებში ფრიალებენ ალისფერი დროშები, შენობათა ფასადებზეა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები. ქალაქის მწვანე სამოსელში ლამაზად ციმციმებს ნაირფერი ილუმინაცია. ყველგან საზეიმო განწყობილებაა.

დღის 11 საათია. სტალინირის ცენტრში — ი. ბ. სტალინის სახელობის მოედანზე იწყება მშრომელთა დემონსტრაცია. ტრიბუნასთან მწყობრად მოდიან ქალაქის სკოლებისა და სპეციალური საშუალო სასწავლებლების მოსწავლეები. მათ მოაქვთ აკადემიური წარჩინების მაჩვენებლები. ვეებერთელა ტილოებზე გამოსახული ციფრები ამცნობენ მოსწავლეთა მონაწილეობას საკოლმეურნეო შრომაში.

დემონსტრანტთა კოლონები ერთიმეორეს მოსდევენ. ტრიბუნას ჩაუარეს ქალაქის საწარმო-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებმა. აი სტალინირელი მეავეჯეები, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს ათი თვის დავალება, მათ მოაქვთ საოჯახო ავეჯის ნიმუშები. მოდის ახლად ჩამოყალიბებული ქარხნის „ელექტროვიბრომანქანის" მუშათა კოლექტივი.

ტრიბუნასთან ახალი სიხარული მოიტანეს სტალინირის რაიონის კოლმეურნეებმა. მეცხოველეობის პროდუქტები, ხილი, ყურძენი, ცოცხალი ექსპონატები შემოდგომის სიუხვეზე, კოლმეურნეობათა ეკონომიკის წინსვლაზე მეტყველებენ. (საქ. კორ.).

## ქუთაისი

ქუთაისის მშრომელები ახალი საწარმოო გამარჯვებებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის 41-ე წლისთავს. სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებს წინ მოუძღვის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მრავალათასიანი კოლექტივი. ავტომობილმშენებლებმა გადაჭარბებით შეასრულეს საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების ათი თვის დავალება — გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცეს ავტომობილები და სათადარიგო ნაწილები. მოედანზე შემოდის ხუთტონიანი სატვირთო ავტომობილის „კაზ-605" და რვატონიანი ნახევრადმისაბმელიანი გამწე ავტომობილის „კაზ-606" საცდელი ნიმუშები, საბაღო-საპლანტაციო ტრაქტორი „რიონი", რომელმაც უკვე გაიარა საწარმოო გამოცდა.

მანქანათსამშენებლო ქარხნის კოლექტივი უპატაკებს პროდუქციის გამოშვების ათი თვის გეგმის 105,7 პროცენტით შესრულებას. მათ მიერ გამოშვებული პროდუქცია ცნობილია ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც — სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

საყოველთაო-სახალხო დღესასწაულისათვის ქალაქის ათზე მეტმა სამრეწველო საწარმომ შეასრულა წლიური გეგმა.

მოედანზე დიდი გამოცოცხლება გამოიწვია ქალაქის კავშირგაბმულობის მუშაკთა შემოსვლამ. 1959 წელს ქუთაისს ექნება ტელევიზია — გვამცნობს პლაკატი. (საქ. კორ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საძირკველი ჩაეყარა ნ. ა. ლაკობას ძეგლს

სოხუმი. (საქ. კორ.). 6 ნოემბერს სოხუმის ბოტანიკური ბაღის შესასვლელთან გაიმართა სოხუმისა და აფხაზეთის ასსრ რაიონების მშრომელთა წარმომადგენლების ხალხმრავალი მიტინგი, მიძღვნილი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის დიადი საქმისათვის მგზნებარე მებრძოლის ნესტორ აპოლონის-ძე ლაკობას ძეგლის საძირკვლის ჩაყრისადმი.

მიტინგი გახსნა საქართველოს კომპარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. შ. შარტავამ.

სიტყვა ეძლევა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. მ. ბღაჟბას.

— 1936 წლის დეკემბერში, — ამბობს ამხ. მ. ბღაჟბა, — აქ ამავე ადგილას გაიმართა აფხაზეთის მშრომელთა სამგლოვიარო მიტინგი ნ. ლაკობას— შესანიშნავი რევოლუციონერის, ჩვენი პარტიის სახელოვანი შვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

ნ. ლაკობა იყო აფხაზეთში, საქართველოსა და ამიერკავკასიაში სოციალისტური მშენებლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ორგანიზატორი. ჭაბუკობიდანვე აქტიურად მონაწილეობდა რევოლუციურ მოძრაობაში.

1922 წლის თებერვალში ნ. ლაკობა არჩეულ იქნა აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ, ხოლო 1930 წელს აფხაზეთის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ.

სიტყვით გამოდის აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. მ. ჩიქოვანი, რომელიც ლაპარაკობს იმ უდიდეს პოლიტიკურ და შრომით აღმავლობაზე, რითაც ეგებებიან აფხაზეთის მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია სკკპ XXI ყრილობას. აფხაზეთის მშრომელთა მიღწევები წინასაყრილობო სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალი შესანიშნავი წვლილია იმ დიად საქმეში, რომლისთვისაც ძალლონის დაუზოგავად იბრძოდნენ ჩვენი ხალხის საუკეთესო შვილები და მათ შორის ნესტორ ლაკობა.

ტრიბუნაზეა კომუნისტური პარტიის ძველი წევრი ამხ. კ. თორია. იგი ლაპარაკობს სახელოვან ძველ ბოლშევიკურ გვარდიაზე, რომლის ერთ-ერთი წარმომადგენელი ნ. ლაკობა იყო.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის XIX პარტყრილობის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნე ა. ფილია, ოჩამჩირის რაიონის სოფელ სომხური ათარის კამოს სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ო. ზაქარიანი, აფხაზსარეწაო საბჭოს არტელ „ქიმიკოსის“ თავმჯდომარე მ. საენკო, სოხუმის გარნიზონის მებრძოლების წარმომადგენელი ი. შალიმოვი, ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში შ. ბასილაია, საქართველოს ალკკ სოხუმის საქალაქო კომიტეტის მდივანი ჯ. კვინიკაძე.




საბურველს ხდიან ქვის ლოდს, რომელიც დადგმულია იმ ადგილას სადაც აღიმართება ნ. ა. ლაკობას ძეგლი. ქვაზე გამოკვეთილია სიტყვები:

„აქ აგებულ იქნება ნესტორ ლაკობას ძეგლი 1958 წ. 6 XI“

პიონერებმა ლოდი ცოცხალი ყვავილებით მორთეს.

## სამი სახელმწიფოს თათბირი ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ

ჟენევა, 5 ნოემბერი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის წარმომადგენლის ელჩ ს. კ. ცარაპკინის თავმჯდომარეობით გაიმართა მეოთხე სხდომა სამი სახელმწიფოს თათბირისა ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ. როგორც პრესის წარმომადგენლებისათვის გადაცემული კომუნიკედან ჩანს, თათბირმა განიხილა საბჭოთა პროექტი შეთანხმებისა ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ, აგრეთვე თათბირის დღის წესრიგის ორი პროექტი, რომლებიც ადრე შეიტანეს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციებმა.

ჟურნალისტთა წრეებში გაკვირვებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ თათბირს, რომლის მიზანი — შეთანხმების მიღწევა ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ— საკმაოდ ნათელია, დღემდე ვერ მიუღია თავისი მუშაობის დღის წესრიგი. დასავლეთის პრესის კომენტარების მიხედვით, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის დელეგაციები მოითხოვენ, რომ პირველ რიგში განხილულ იქნას კონტროლის საკითხები და ამ საკითხებს აყენებენ დღის წესრიგის პირველ პუნქტად, თუმცა ტექნიკურ ექსპერტთა ჟენევის თათბირმა უკვე მიიღო რეკომენდაციები კონტროლის საკითხზე.

შემდეგი სხდომა გაიმართება 6 ნოემბერს.

ჟენევა, 7 ნოემბერი. (საკდესი). დღეს ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის თავმჯდომარეობით გაიმართა მორიგი სხდომა. მოლაპარაკების მონაწილეებისა სამი სახელმწიფოს თათბირზე ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ.

სხდომის დამთავრების შემდეგ გამოქვეყნებულ კომუნიკეში ნათქვამია, რომ თათბირმა განიხილა საბჭოთა პროექტი შეთანხმებისა ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ, მოლაპარაკების დღის წესრიგის ორი პროექტი, რომლებიც ადრე შეიტანეს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციებმა, და ინგლისის დელეგაციის მიერ შეტანილი დოკუმენტი, რომელიც ეხება ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების პირობების დაცვისადმი ეფექტიანი კონტროლის განსახორციელებლად საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის პრობლემის ზოგიერთ ასპექტს.

სსრ კავშირის დელეგაციამ თათბირს წარუდგინა საბჭოთა მთავრობის ამა წლის 31 ოქტომბრის განცხადება ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხზე. ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა თავის მხრივ დამსწრეთ გააცნო თეთრი სახლის ამა წლის 7 ნოემბრის განცხადება.



სურათებზე — თბილისის მშრომელთა დემონსტრაცია რუსთაველის პროსპექტზე. ფოტო ვ. გინზბურგისა.

## ბაღდადის პაქტის ქვეყნების საომარი მზადება

ანკარა, 8 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ აქ მუშაობა დაამთავრა ბაღდადის პაქტის სამხედრო კომისიამ. გამოქვეყნებულ კომუნიკეში ნათქვამია, რომ კომისიის წევრებმა აღნიშნეს „დიდი პროგრესი“ სამხედრო ძლიერების გადიდების გეგმებში მას შემდეგ, რაც კომისიას სხდომა ჰქონდა ანკარაში 1958 წლის იანვარში.

5-7 ნოემბრის სხდომაზე განხილული იყო აგრეთვე ისეთი პრობლემები, როგორიც არის ერთობლივი დაგეგმვის პროგრამა, მუდმივი სამხედრო ორგანიზაციის განმტკიცება და სხვ.

## წარუმატებელი ცდა ამერიკის რაკეტის გაშვებისა მთვარის მიმართულებით

ნიუ-იორკი, 8 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის დეპეშათა სააგენტოების ცნობებით, დღეს 2 საათსა და 30 წუთზე ნიუ-იორკის დროით (10 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით) კანავერალის რაკეტოდრომზე (ფლორიდის შტატი) მესამეჯერ სცადეს გაეშვათ ამერიკის რაკეტული სისტემა მთვარის მიმართულებით. გაშვებიდან ათი წუთის შემდეგ ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობამ გამოაცხადა, რომ გაშვება წარმატებით განხორციელდა. მაგრამ კიდევ ათი წუთის შემდეგ სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ როგორც გაზომვის შედეგებმა ცხადყვეს, რაკეტულ სისტემაში არ ამუშავდა მესამე საფეხური.

ვაშინგტონი, 8 ნოემბერი. (საკდესი). აქ ოფიციალურად გამოცხადდა, რომ რაკეტული სისტემა, რომელიც მთვარის მიმართულებით გაუშვეს, დაბრუნდა დედამიწის ატმოსფეროში და დაიწვა ცენტრალური აფრიკის აღმოსავლეთ ნაწილში გაშვებიდან 45 წუთის შემდეგ.

მან მიაღწია მხოლოდ 1.600 კილომეტრ სიმაღლეს. როგორც ცნობილია, შეერთებული შტატების ორი წინა ცდა გაეშვათ რაკეტა მთვარის მიმართულებით (17 აგვისტოს და 11 ოქტომბერს) აგრეთვე მარცხით დამთავრდა.

## ავსტრიაში გასტროლებზე

ქართულ ბალეტს ვახტანგ ჭაბუკიანმა საქვეყნოდ გაუთქვა სახელი. მისი ამასწინანდელი გასტროლები ლათინურ ამერიკაში ქართული საბალეტო ხელოვნების ახალი გამარჯვება იყო. ამ დღეებში ქართულმა საბალეტო ჯგუფმა ვახტანგ ჭაბუკიანის ხელმძღვანელობით კიდევ ერთი ახალი მიწვევა მიიღო ვენის ოპერისა და ბალეტის თეატრისაგან. გუშინ ავსტრიაში გამგზავრების წინ ჩვენი გაზეთის თანამშრომელი ესაუბრა სსრ კავშირის სახალხო არტისტს, ლენინური პრემიის ლაურეატს ვახტანგ ჭაბუკიანს, რომელმაც განაცხადა:

შუბერტისა და შტრაუსის ქვეყანა ოდითგანვე ცნობილი იყო თავისი მაღალი მუსიკალური და თეატრალური კულტურით.

„ბალეტი ყინულზე“ ვენელების საყვარელი სანახაობაა. ამ თემაზე აგებული ავსტრიული ფილმები დიდი მოწონებით სარგებლობს ჩვენს ქვეყანაშიც. ჩვენ კი „მიწაზე“ მოგვიხდება ცეკვა და ეს უფრო ზრდის ჩვენს პასუხისმგებლობას.

ვენელ მაყურებელს ჩვენ ვუჩვენებთ ფრაგმენტებს ცნობილი ბალეტებიდან „ოტელო“, „სინათლე“, „ლაურენსია“ და სიუიტას შოპენის მუსიკის თემებზე. რეპერტუარში გვაქვს აგრეთვე საკონცერტო პროგრამა — ქართული ხალხური ცეკვები. ავსტრიაში მიმავალ ქართული ბალეტის ოსტატთა ჯგუფი ოცდახუთი კაცისაგან შედგება. ჩვენთან ერთად მიემგზავრება ცნობილი დირიჟორი ოდისეი დიმიტრიადი.

ჩვენი გასტროლები ავსტრიის დედაქალაქ ვენაში ერთ თვეს გასტანს. ეს იქნება დაძაბული შემოქმედებითი შრომისა და დიდი პასუხისმგებლობის თვე.

ჩვენ შევეცდებით ერთხელ კიდევ ვაჩვენოთ ევროპას მთელი სრულყოფით ქართული საბჭოთა საბალეტო ხელოვნების ძალა და ღირსება.

## საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი

ჰააგა, 10 ნოემბერი. (საკდესი). 1-დან 9 ნოემბრამდე ვაგენინგენში (ჰოლანდია) მიმდინარეობდა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც მსოფლიო ჩემპიონი გროსმაისტერი მ. ბოტვინიკი და გროსმაისტერი ს. ფლორი შეხვდნენ ჰოლანდიის უძლიერეს მოჭადრაკეებს.

ტურნირში პირველი ადგილი დაიკავა გროსმაისტერმა მ. ბოტვინიკმა, რომელმაც 4 ქულა შეაგროვა 5 შესაძლებელიდან. მეორე და მესამე ადგილები გაიყვეს გროსმაისტერმა ფლორმა და ჰოლანდიის ჩემპიონმა საერთაშორისო ოსტატმა დონერმა, რომლებმაც სამ-სამი ქულა შეაგროვეს.

## მოსკოვის „სპარტაკი“ — სსრ კავშირის ჩემპიონი

ფეხბურთში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონობის საკითხი დამოკიდებული იყო დედაქალაქის „სპარტაკისა“ და კიევის „დინამოს“ გუნდების უკანასკნელ მატჩზე. ეს შეხვედრა გაიმართა 8 ნოემბერს მოსკოვში ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე. გაიმარჯვეს სპარტაკელებმა ანგარიშით 3:2.

ამრიგად, დამთავრდა სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში. ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი გახდა მოსკოვის „სპარტაკი“, მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა დედაქალაქის „დინამომ“, მესამე — ცსკ მო-ს. მომდევნო ადგილები ასე განაწილდა: ლენინგრადის „ზენიტი“, მოსკოვის „ლოკომოტივი“, კიევის „დინამო“, მოსკოვის „ტორპედო“, სტალინოს „შახტიორი“, თბილისის „დინამო“, კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“, კიშინიოვის „მოლდოვა“, ლენინგრადის „ადმირალტეეცი“.

## ფინალური მატჩები

8 და 9 ნოემბერს თბილისსა და რუსთავის სტადიონებზე გაიმართა „ბ“ კლასის ზონებში გამარჯვებულ ფეხბურთელთა კოლექტივების მორიგი შეხვედრები.

სვერდლოვსკისა და ლვოვის სამხედრო საოლქო სასპორტო კლუბების, აგრეთვე შავი ზღვის ფლოტისა (სევასტოპოლი) და ოდესის სკვო-ს გუნდების მატჩები დამთავრდა ფრედ 1:1. როსტოვის არმიელმა ფეხბურთელებმა დაამარცხეს ხაბაროვსკის სკვო 3:1.

## სამამულო ფეხბურთის 60 წლისთავის აღსანიშნავად

სამამულო ფეხბურთის 60 წლისთავისადმი მიძღვნილია საქართველოს ფეხბურთელთა 8 უძლიერესი კოლექტივის ასპარეზობა სპეციალური პრიზის მოსაპოვებლად.

ერთმანეთს პირველობას ეცილებიან თბილისის „დინამოს“, ვეტერანთა, სკვო-ს, „ბურევესტნიკის“, ქუთაისის, აფხაზეთისა და აჭარის ნაკრები გუნდები და სხვ.

პირველი მატჩი გაიმართა თბილისის „დინამოსა“ და სკვო-ს გუნდებს შორის. გაიმარჯვეს არმიელმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 1:0.

## ავსტრიის კომპარტიის მე-40 წლისთავის დღესასწაული

ლინცი, 9 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ აქ, ავსტრიის სამრეწველო ცენტრში გაიმართა ზემო ავსტრიის ორგანიზაციის კომუნისტთა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა ავსტრიის კომპარტიის მე-40 წლისთავს. სხდომაზე გამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ნ. მ. შვერნიკი, რომელმაც ავსტრიელ კომუნისტებს გადასცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მისალმება და მილოცვა.

ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ავსტრიის კომპარტიის თავმჯდომარემ ი. კოპლენიგმა, რომელიც შეეხო ავსტრიის კომპარტიის ისტორიას.

ხანგრძლივ ოვაციაში ნ. მ. შვერნიკმა გადასცა სხდომის პრეზიდიუმს საჩუქარი — დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრის მოდელი.

საზეიმო სხდომა დამთავრდა ინტერნაციონალის მღერით.

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საჩუქარი

ბერლინი, 6 ნოემბერი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მ. გ. პერვუხინმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვ. ულბრიხტს გადასცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საჩუქარი გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი — დოკუმენტალური ფილმი „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი“.

ვ. ულბრიხტმა მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ძვირფასი საჩუქრისათვის და თქვა, რომ იგი ხელს შეუწყობს ორივე პარტიის ძმური მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

## ჩინეთ-ამერიკის მოლაპარაკება

ვარშავა, 7 ნოემბერი. (საკდესი). როგორც პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება, 7 ნოემბერს ვარშავაში მოხდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩების შეხვედრა, რამაც 1 საათსა და 45 წუთს გასტანა. შემდეგი შეხვედრა დანიშნულია მიმდინარე წლის 25 ნოემბერს.

## საქართველოს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში

ამას წინათ საქართველოს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში გაიმართა თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა კრება. საქართველოს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ა. ქუნთმა შეკრებილთ უამბო, რომ ამ ბოლო დროს გაძლიერდა საბჭოთა კავშირისა და საბერძნეთის კულტურული ურთიერთობა, რომ საქართველოს მშრომელები ცხოველ ინტერესს იჩენენ ბერძენი ხალხის ცხოვრებისა და კულტურისადმი.

შემდეგ გამოვიდნენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი შ. ამირანაშვილი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ო. დიმიტრიადი, პროფესორი ს. ყაუხჩიშვილი, მწერალი მ. მრევლიშვილი და სხვები, რომლებმაც მოიწონეს წინადადება, რომ შეიქმნას „სსრ კავშირ-საბერძნეთის“ საზოგადოების საქართველოს განყოფილება. (საქდესი).

## ჩვენი უცხოელი სტუმრები

საქართველოში ხუთი დღის ყოფნის შემდეგ მოსკოვს გაემგზავრა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალთა დელეგაციის წევრთა ჯგუფი. მის შემადგენლობაში შედიოდნენ ბუნდესტაგის დეპუტატები, საზოგადო მოღვაწეები, ეკონომისტები, ფილოსოფოსები, ჟურნალისტები. ისინი სსრ კავშირში ჩამოვიდნენ ჟურნალ „სოვეტსკაია ჟენშჩინას“ რედაქციის მოწვევით.

დელეგაციის წევრები საქართველოში ეცნობოდნენ ეკონომიკისა და კულტურის განვითარებას, ქალების მონაწილეობას სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში, რესპუბლიკის ღირსშესანიშნაობებს. ისინი შეხვდნენ თბილისის ქალთა წარმომადგენლებს, იყვნენ საქართველოს სსრ ხელოვნების მუზეუმში, დაესწრნენ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის კონცერტს. სტუმრებმა დაათვალიერეს არქიტექტურული ძეგლები მცხეთაში. დელეგაცია იყო აფხაზეთში. აქ იგი გაეცნო ქალაქ სოხუმს, ეშერის საბჭოთა მეურნეობის მუშაობას.

საქართველოში იყო ინდოეთის პროფკავშირული სასოფლო-სამეურნეო დელეგაცია ბხოვანი სენის მეთაურობით. მას აინტერესებდა რესპუბლიკის სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის გაცნობა.

დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობა, ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის კოლმეურნეობა. მათ დაათვალიერეს საბჭოთა მეურნეობისა და არტელის მეურნეობა, ესაუბრნენ მუშებსა და კოლმეურნეებს, იყვნენ მათთან სტუმრად. აჭყვის ჩაის ფაბრიკაში ინდოელი პროფკავშირული მოღვაწეები დაწვრილებით გაეცნენ წარმოების პროცესებს.

ინდოელი სტუმრები იყვნენ ბათუმსა და თბილისში. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშათა და მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ს. კალანდაძემ დელეგაციის წევრებს გააცნო პროფკავშირული ორგანიზაციის საქმიანობა.

ინდოეთის პროფკავშირული სასოფლო-სამეურნეო დელეგაცია თბილისიდან მოსკოვს გაფრინდა. (საქდესი).

## დიდი ოქტომბრის დღესასწაული საზღვარგარეთ

საბჭოთა ხალხთან ერთად ზეიმით და სიხარულით იდღესასწაულეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავი მთელი მსოფლიოს მშრომელებმა.

დიდი პოლიტიკური აღმავლობით მიმდინარეობდა დიდი ოქტომბრის დღესასწაული სოციალისტურ ქვეყნებში, სადაც ამ დღეებში გაიმართა საზეიმო კრებები, ხალხმრავალი დემონსტრაციები და მიტინგები, მიძღვნილი სახელოვანი წლისთავისადმი.

ფართოდ აღნიშნა დიდი ოქტომბრის რევოლუციის 41-ე წლისთავი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოძმე ხალხმა.

დიდი დღესასწაულის წინადღეს პეკინში გაიმართა ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს სრულიად ჩინეთის კომიტეტის, ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების, სრულიად ჩინეთის პროფკავშირთა ფედერაციისა და ჩინეთის სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საზეიმო კრება. მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავისადმი.

კრებას დაესწრნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილე ჩუ დე, სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჩოუ ენ-ლაი და სხვა ოფიციალური პირები. კრებაზე სიტყვა წარმოთქვა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ლინ ბო-ციუიმ.

იმავე დღეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავის გამო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ დარბაზობა გამართა ჩინეთში მომუშავე საბჭოთა სპეციალისტების პატივსაცემად.

„ჩინელ ხალხს ოქტომბრის რევოლუციის წლისთავი თავის ეროვნულ დღესასწაულად მიაჩნია“ — ეს სიტყვები არ სცილდება ჩინური გაზეთების ფურცლებს.

საბჭოთა კავშირთან ძმობისა და ურღვევი მეგობრობის ნიშნით აღნიშნა დიდი ოქტომბრის 41-ე წლისთავი პოლონელმა ხალხმა. პოლონეთის დედაქალაქ ვარშავის კულტურისა და მეცნიერების სასახლეში გაიმართა საზეიმო სხდომა.

დიდი ოქტომბრის 41-ე წლისთავისადმი მიძღვნილი მოხსენება გააკეთა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა და ცენტრალური კომიტეტის მდივანმა რ. ზამბროვსკიმ.

როგორც დიდი და სასიხარულო დღესასწაული აღნიშნეს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მშრომელებმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავი.

დიდი დღესასწაულის წინადღეს პრაღაში სტარომესტის მოედანზე გაიმართა მშრომელთა გრანდიოზული მიტინგი, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავისადმი. მიტინგს დაესწრნენ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის მოღვაწეები და მთავრობის წევრები ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის ანტონინ ნოვოტნის მეთაურობით. სიტყვები წარმოთქვეს მთავრობის თავმჯდომარემ ვ. შიროკიმ და სსრ კავშირის ელჩმა ჩეხოსლოვაკიაში ი. ტ. გრიშინმა.

ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში გაიმართა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება. სოფიის სახალხო ოპერის სადღესასწაულოდ მორთულ დარბაზში შეიკრიბნენ დედაქალაქის სამრეწველო საწარმოთა მოწინავენი, სახელმწიფო, პარტიული და საზოგადო მოღვაწეები, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები, სახალხო არმიის მეომრები. პრეზიდიუმში იყვნენ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ტოდორ ჟივკოვი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ანტონ იუგოვი და პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელები.

მოხსენება „41 წელი დიდი ოქტომბრის ძლევამოსილი დროშით“ გააკეთა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა და ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საყოველთაო სახალხო კომიტეტის აღმასრულებელი ბიუროს თავმჯდომარემ ცოლა დრაგოიჩევამ.

კრების მონაწილეებმა მიიღეს ტექსტი მისასალმებელი დეპეშისა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისადმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

სიხარულით აღნიშნა ოქტომბრის 41-ე წლისთავი უნგრელმა ხალხმა. ბუდაპეშტში გაიმართა საზეიმო სხდომა. სხდომაზე მოხსენება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავის შესახებ გააკეთა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა კაროი კიშმა.

ბერლინის ერთ-ერთ უდიდეს დარბაზში „ფრიდრიხშტადტ-პალასტში“ შეიკრიბნენ ბერლინის საწარმოთა და დაწესებულებათა მშრომელების მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები, დემოკრატიული პარტიებისა და მასობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, თვალსაჩინო მეცნიერები და ხელოვნების მოღვაწეები, ეროვნული სახალხო არმიის გენერლები და ოფიცრები. აქ გაიმართა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

სხდომის მონაწილეთა წინაშე დიდი ოქტომბრის 41-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სიტყვა წარმოთქვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ო. გროტევოლმა.

დიდი ოქტომბრის 41-ე წლისთავის აღსანიშნავი საზეიმო კრებები და სახალხო მანიფესტაციები გაიმართა აგრეთვე ბუქარესტში, ტირანაში, ულანბატორში, ფხენიანში, ხანოიში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავის დღესასწაული ინდოეთის საზოგადოებრიობისა და პრესის ყურადღების ცენტრშია. ინდოეთის გაზეთებმა დაბეჭდეს ცნობები პარადისა და მშრომელთა დემონსტრაციის შესახებ წითელ მოედანზე მოსკოვში და ა. ი. მიქოიანის მოხსენება მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე.

ზეიმით აღნიშნა დიდი ოქტომბრის რევოლუციის 41-ე წლისთავი ბირმის, ბელგიის, იაპონიის, არგენტინის, ავღანეთის, ცეილონისა და სხვა ქვეყნების პროგრესულმა საზოგადოებრიობამ.

საბჭოთა საელჩოებში საზღვარგარეთ გაიმართა დარბაზობანი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავის აღსანიშნავად. (საკდესი).

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

**თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი**

ხუთშაბათს, 13 ნოემბერს
მე-6 აბონ. მე-2 წარმ.
ჟ. ბიზე
**კ ა რ მ ე ნ**

პარასკევს, 14 ნოემბერს
მე-7 აბონ. მე-2 წარმ.
ზ. ფალიაშვილი
**დ ა ი ს ი**

შაბათს, 15 ნოემბერს
1 აბონ. მე-3 წარმ.
შ. გუნო
**ფაუსტი და ვალპურგის ღამე**

კვირას, 16 ნოემბერს
დღისით მე-2 აბონ. 1 წარმ.
უმცროსი ასაკის მოსწავლეთათვის
ვ. დოლიძე
**ქეთო და კოტე**

საღამოს აბონ. გარეშე
ვერა კრილოვას და გუსტავ პაპის (ჩეხოსლოვაკია) მონაწილეობით
ჟ. ბიზე
**კ ა რ მ ე ნ**

სამშაბათს, 18 ნოემბერს. აბონ. გარეშე
სლავკა პროხაზკოვას და გუსტავ პაპის (ჩეხოსლოვაკია) მონაწილეობით
ჯ. პუჩინი
**ტ ო ს კ ა**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი** აცხადებს კონკურსს უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე გეომორფოლოგიის სპეციალობით — 1 საშტატო ერთეული.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა განცხადებასთან ერთად უნდა შემოიტანონ დირექციაში შემდეგი საბუთები: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ფოტოსურათი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების დიპლომის ასლი, სამეცნიერო ხარისხის მინიჭების საბუთის ასლი, სამეცნიერო შრომების ვრცელი დახასიათება, შედგენილი სათანადო დარგის წამყვანი სპეციალისტის მიერ, ცნობები შეთავსებით მუშაობის ნებართვის შესახებ. ასლები დამოწმებული უნდა იყოს ნოტარიალურად. ყველა საბუთი წარმოდგენილ უნდა იქნას ორ-ორ ცალად.

კონკურსის ვადაა ორი კვირა დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, შ. ჩიტაძის ქ. № 8, ტელ. № 3-37-02.

**დღის თეატრებსა და კინოებში**

რუსთაველის სახელობის — ახა... გაზრდა მასწავლებელი, რკინიგზელ... სახლში — სიმღერა თბილისზე (მუ... კალური კომედიის თეატრის სპექტ... ლი), მოზარდ მაყურებელთა ქართ... ლი — რევოლუციის სახელით (აბ... № 43., 6 ს.), ფილარმონიის საზამთ... — მოსკოვის მუსიკალური კომედ... თეატრის გასტროლები, რუსთაველ... სახელობის საკონცერტო დარბაზი — ა. გინზბურგის კონცერტი (როიალ...

* * *

რუსთაველის სახელობის, ოქტომ... რი, ამირანი (საზაფხულო), ისანი, პ... ხანოვის სახელობის კლუბი, ჭავჭა... ძის სახელობის კლუბი, კომუნარ... ბალი — მანანა, ამირანი (საზამთ... — კაპიტანის ქალიშვილი, საქართ... ლო (წითელი დარბაზი), კომკავში... ლი, 26 კომისრის სახელობის (პი... ლი დარბაზი), ოფიცერთა სახლი, კ... ხიდა — ჩვენი შვილი ადეოკ... სპარტაკი — ოქროს სიმფონია, თ... ლისი — პარმის სავანე (I და II ... რია), კიროვის სახელობის პარკი, ჟ... ბეგი — მეზღვაური „კომეტიდან“.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პრესის მიმოხილვის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, საილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-81-65.

უე 07217 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14. 2